ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5761208

ნომერი: AR1871605

თარიღი : 06.01.2022

გაცემის თარიღი : 14.01.2022

გაცნობის თარიღი : 14.01.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, კალოუბანის ქ.#40, კალოუბანის ქ, #41;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ლურსმანაშვილი პ/ნ 01025001067
- თბილისი, რაფაელ აგლაძის ქ. #1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კალოუბნის ქუჩა #41, ქალაქი თბილისი, კალოუბნის ქუჩა #40, -ში, შპს „კალაუბანი“ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე პირველი კლასის დამხმარე ობიექტის (ენერგო ობიექტისთვის) მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892021117833 29/12/2021წ. საკადასტრო კოდი № 01.19.20.021.099 ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი, განთავსების სქემა; ხელშეკრულება; მინდობილობა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კალოუბნის ქუჩა #41, ქალაქი თბილისი, კალოუბნის ქუჩა #40, -ში, შპს „კალაუბანი“ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე პირველი კლასის დამხმარე ობიექტის (ენერგო ობიექტისთვის) მშენებლობის შესაძლებლობას.

ამასთან, შენობა–ნაგებობების მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

•საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარის და ფანჯრის მოწყობა, ან შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.
•სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.
•საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 5 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს ხის მასალა უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით.
• შენობა-ნაგებობის მშენებლობა უნდა განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების დაუზიანებლად,

---

• ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
• სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
• აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.